ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 75

ქალაქი ქუთაისი 25 აპრილი 2018 წელი

ქალაქ ქუთაისში, კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევისათვის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვალერიან ქელბაქიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების დანართის მე-5 მუხლის პირველი პუნქტისა და ქალაქ ქუთაისში, კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევისათვის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვალერიან ქელბაქიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის თაობაზე, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის, გიორგი ჭიღვარიას 2018 წლის 18 აპრილის №01/9616 წერილობითი მომართვის საფუძველზე:

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ვალერიან ქელბაქიანს განსაკუთრებული ღვაწლი და დამსახურება მიუძღვის ქალაქ ქუთაისის საზოგადოების წინაშე, როგორც პედაგოგს, მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს, რომელიც ცხოვრობდა ქალაქ ქუთაისში, კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევში.

მუხლი 2. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილად იქნეს მიჩნეული ქალაქ ქუთაისში, კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევისათვის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვალერიან ქელბაქიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესიდან გამონაკლისის დაშვება.

მუხლი 3. დაევალოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს, გიორგი ჭიღვარიას უზრუნველყოს ქალაქ ქუთაისში, კუპრაძის ქუჩის მე-2 შესახვევისათვის, ცნობილი საზოგადო მოღვაწის, ვალერიან ქელბაქიანის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილებით განსაზღვრული წესით, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადება და წარმოდგენა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის.

მუხლი 4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /მისამართი: ვ.კუპრაძის ქუჩა №11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 5. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია